



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 121

2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი კოგნიტური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი ნივთების სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის II საჯარო სკოლასთან (ს.კ 243874786) არსებული დღის მოვლის ცენტრისთვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2016 წლის 21 ნოემბრის № 3688/09 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტმა სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის II საჯარო სკოლასთან (ს.კ 243874786) არსებული დღის მოვლის ცენტრისთვის შეიძინა 1197.50 ლარის ღირებულების კოგნიტური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი ნივთები. აღნიშნული ნივთების დღის მოვლის ცენტრისთვის გადაცემა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი 1197.50 ლარის ღირებულების დანართ №1-ში მითითებული კოგნიტური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი ნივთები თხოვების ფორმით, გადასცეს სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის II საჯარო სკოლასთან (ს.კ 243874786) არსებულ დღის მოვლის ცენტრს, მისი არსებობის ვადით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად);
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ხის მანქანა	1	17.90	17.90
2	ხის კუბიკი	1	10.90	10.90
3	ხის კუბიკი	2	15.90	31.80
4	ფაზელი ინტელექტუალური	1	18.90	18.90
5	კუბიკები	1	42.90	42.90
6	შინაური ცხოველები	2	18.80	37.60
7	გარეული ცხოველები	1	18.80	18.80
8	მწერები	1	10.60	10.60
9	კარავი	1	45.90	45.90
10	ცხოველების ნაკრები	1	3.20	3.20
11	ბილიარდი	1	83.90	83.90
12	სათამაშოების ჩასაყრელი	1	10.90	10.90
13	ხის დაფა	1	22.90	22.90
14	წიგნის დასადები	1	10.90	10.90
15	პლასტელინის დაფა	5	2.90	14.50
16	პიანინო მუსიკალური	1	15.90	15.90
17	სტიკერი	3	7.30	21.90
18	დომინო	1	8.90	8.90
19	ქადრაკი	1	22.90	22.90
20	ხის დომინო	3	4.90	14.70
21	ფაზლი	3	16.90	50.70
22	ასაწყობი ფაზელი ხის	4	14.90	59.60
23	საანგარიშო	1	18.90	18.90
24	მატრიოშკა	3	15.90	47.70
25	პირამიდა	3	14.90	44.70
26	დასაჭრელი ხილი	2	14.90	29.80
27	ხის კუბიკები	1	31.90	31.90
28	ხის კუბიკები	1	17.90	17.90
29	ხის მანქანა	1	27.90	27.90
30	მაგიდის ტენისი	1	24.90	24.90
31	ფაზლი	1	9.90	9.90

32	უნო	1	15.90	15.90
33	ფაზლი	2	11.90	23.80
34	მოზაიკა	1	15.90	15.90
35	ჩოგანი	1	14.90	14.90
36	ლოტო	1	13.90	13.90
37	ხელის სათამაშო ბურთებით	2	6.90	13.80
38	ბურთი თოკებით	2	5.90	11.80
39	კუბიკი	1	9.90	9.90
40	კალათბურთის ფარი	1	52.00	52.00
41	მაგიდის ფეხბურთი	1	150.00	150.00
42	საექიმო ნაკრები	1	14.90	14.90
43	პარკინგი	1	30.90	30.90
სულ ჯამი:				1 197.50